ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**g-69.69222765**

თარიღი:**03/10/2022**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ წიფის, სოფელ წყალაფორეთის სოფელ ზვარის და სოფელ კიცხის სასოფლო ამბულატორიების უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 108-ე მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 07 სექტემბრის **N 5 / 50425 და 21 სექტემბრის N5/52683** მომართვის თანახმად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო ამბულატორიის შემდეგი შენობები:

1. სოფელ წიფაში 420,00 კვმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი

და მასზე მდგარი შენობა-ნაგებობა (ს.კ.36.19.32.065),

2. სოფელ წყალაფორეთში 397,00 კვმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების

მიწის ნაკვეთი და მასზე მდგარი შენობა-ნაგებობა (ს.კ.36.12.36.697) ,

3. სოფელ ზვარეში 640,00 კვმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის

ნაკვეთი და მასზე მდგარი შენობა-ნაგებობა (ს.კ.36.18.32.467),

4. სოფელ კიცხში 569,00 კვმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის

ნაკვეთი და მასზე მდგარი შენობა-ნაგებობა (ს.კ.36.10.35.896) უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ, შემდგომში ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგზე გადაცემის მიზნით.

მუხლი 2. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ფორმით უზრუნველყოს აღნიშნული ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციისთვის შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი